



ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

მეორე კვარტალი. 2016 წ.

სარჩევი:

მარკეტინგი და პოპულარიზაცია.....	3 გვ.
ექსპორტი.....	12 გვ.
ქართული ვაზისა და კულტურის კვლევა.....	14 გვ.
ვენახების კადასტრი.....	16 გვ.
დეგუსტაციები.....	19 გვ.
სერტიფიცირება.....	19 გვ.
სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება.....	20 გვ.

ანგარიში

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის პოპულარიზაცია, მევენახეობა-მელვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა და ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში სააგენტო ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მუდმივი კონტაქტის, ასევე მელვინეობის სფეროში მოქმედ სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის რეჟიმში ახორციელებდა.

მიმდინარე წლის მეორე კვარტლის საქმიანობა მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

მარკეტინგი და პოპულარიზაცია; ქართული ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია; კონტროლი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე და ღვინის ბრენდებზე; სამომხმარებლო ბაზრის დაცვა დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან; მევენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება და დარგთან დაკავშირებული სხვა სამარკეტინგო და ადმინისტრაციული ღონისძიებები.

მარკეტინგი და პოპულარიზაცია

საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით ღონისძიებები გაიმართა საქართველოში და მსოფლიოს 8 ქვეყანაში: ჩინეთი/ჰონგ-კონგი, საფრანგეთი, იაპონია, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ.

მათ შორის აღსანიშნავია:

„წითელი ღვინოები საქართველოდან“ , ბალტიისპირეთის ქვეყნები

4 აპრილს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსსა და 5 აპრილს ქალაქ კაუნასში, ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციები სახელწოდებით „წითელი ღვინოები საქართველოდან“ გაიმართა. პრეზენტაციას უძღვებოდნენ ლიტვის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი არუნას სტარკუსი და ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩოლობარგია. ანალოგიური პრეზენტაცია-დეგუსტაცია 7 აპრილს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართა.

„როტარი კლუბი“, ჩინეთი

12 აპრილს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში, სასტუმრო „კემპინსკში“ პეკინის „როტარი კლუბის“ (Rotary Club of Beijing) შეხვედრზე, ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია და საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა, რაც ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ღონისძიების მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ სხვადასხვა ღვინის მწარმოებელი კომპანიის 12 დასახელების ქართული ღვინო.

„Wine and Gourmet Japan 2016“ , იაპონია

13-15 აპრილს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში საერთაშორისო გამოფენა „Wine and Gourmet Japan 2016“ გაიმართა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 8 კომპანია. გამოფენის გახსნას საქართველოს საგანგებო და

სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში ლევან ცინცაძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიების პირველ დღეს ქართული ღვინის დეგუსტაცია/სემინარი გაიმართა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი გიორგი თევზაძე უძღვებოდა. სემინარის მიმართ ღვინის პროფესიონალებისა და ადგილობრივი მედიის მხრიდან დიდი ინტერესი იყო.

მემორანდუმის გაფორმება ნანჩანის ქართული ღვინის ცენტრთან

15 აპრილს ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და ჩინეთის პროვინცია ძიანსის ქალაქ ნანჩანის ქართული ღვინის ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაძლიერებას, კოორდინირებული აქტივობების, ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელებას ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის, ცნობადობის და ექსპორტის გაზრდის მიზნით.

მემორანდუმზე ხელი ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა და ნანჩანის ქართული ღვინის ცენტრის დირექტორმა, ჯიმინ ლიუმ (Jimin Liu) მოაწერეს. ღონისძიებას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი, ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს და „კახეთის მეღვინეთა გილდიის“ წარმომადგენლები დაესწრნენ.

„Real Wine Fair“ , დიდი ბრიტანეთი

17-18 აპრილს, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში, ლონდონში ნატურალური ღვინის საერთაშორისო გამოფენა „Real Wine Fair“ ჩატარდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გამოფენაში ქართული ნატურალური ღვინის მწარმოებელი 7 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენის ფარგლებში ორი ღონისძიება - ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი და “The Georgian Supra” გაიმართა.

ქართული ღვინის დეგუსტაციას 200-მდე დაინტერესებული პირი - იმპორტიორები, დისტრიბუტორები, რესტორნებისა და ღვინის ბარების, ასევე მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. რაც შეეხება ქართული სუფრის საღამოს „The Georgian Supra“, მის

სტუმრებსშესაძლებლობა მიეცათ ქართულ ღვინოსთან ერთად, გაცნობოდნენ ქართულ გასტრონომიას დაქართულ ფოლკლორულ სიმღერებს.

ქართული ღვინის კულტურის პრეზენტაცია, OIV , საფრანგეთი,

28 აპრილს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ოფისში, პარიზში, ქართული ღვინისა და ღვინის კულტურის პრეზენტაცია საფრანგეთში აკრედიტებული დიპლომატიურიკორპუსის, საფრანგეთის აგრარული პალატის, პროფესიონალი სომელიეების, ენოლოგების,ღვინის ჟურნალისტებისა და ბლოგერების, UNESCO-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების წინაშე გაიმართა.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნულიააგენტო და საქართველოს საელჩო საფრანგეთში.

გამოფენის მიზანი იყო ქართული ღვინის წარდგენა პროფესიონალებისა და ფართოსაზოგადოების წინაშე. ქართული ღვინის დეგუსტაციის პარალელურად OIV-ში ასევეგაიმართა გამოფენა ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიისა და კულტურის შესახებ - "მე-19საუკუნის ფრანგულ ფოტოებში ასახული ქართული ღვინის კულტურა", სადაც წარმოდგენილიყო საფრანგეთის მუზეუმში დაცული ფრანგი ეთნოგრაფების ჟოზეფ დე ბაისა და ჰუგოკრაფტის მიერ 1897-1903 წლებში გადაღებული ფოტოები. ფოტო-გამოფენას ორგანიზება კულტურული მემკვიდრეობის კურატორმა, ანა ჭეიშვილმა გაუკეთა.

ახალი ღვინის ფესტივალი, საქართველო

14 მაისს მთაწმინდის პარკში, „ახალი ღვინის ფესტივალი“ გაიმართა.

ფესტივალის ფარგლებში, რომელსაც 80-მდე ღვინის კომპანია, ასევე მცირე ოჯახური და საშუალო მარნები, ადგილობრივი და უცხოელი სტუმრები - პროფესიონალი ენოლოგები, სომელიეები, ღვინის ჟურნალისტები, ვაინბლოგერები და მწერლები ესწრებოდნენ, ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. ფესტივალზე სტუმრებს ასევე საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ღვინის დაყენების სხვადასხვა ტექნოლოგიებს.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო უნიკალური ქვევრის ღვინოები საფრანგეთიდან, იტალიიდან, სლოვენიიდან, გერმანიიდან და ავსტრიიდან. დეგუსტაციის მონაწილეებმა დააგემოვნეს ტიერი პუზელას (Thierry Puzelat), ლორენ ბანვართის (Laurent Bannwarth), პაოლო ვიდოპივეცის (Paolo Vidopivec), VINO di Ana-სა და ტომოფუმი ფუჯიმაროს (Tomofumi Fujimaru) ქვევრის ღვინოები.

ქართული ღვინის სახლის გაიხსნა, ჩინეთში

22 მაისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯეძიანის (Zhejiang) პროვინციის ქალაქ იუში (Yiwu) „ქართული ღვინის სახლი“ გაიხსნა, რომელიც „სუოლუნ კომპანის“ მიერ გახსნილი რიგით მეოთხე ობიექტია, სადაც ხდება ქართული ღვინის რეალიზაცია და პოპულარიზაცია.

ქართული ღვინის მაღაზია-სალონების ქსელი სახელწოდებით „ქართული ღვინის სახლი“ ჩინეთში თანდათან უფრო პოპულარული ხდება. „სუოლუნ კომპანია“ მაისის ბოლოს კიდევ სამ „ქართული ღვინის სახლს“ გახსნის სინძიანის პროვინციაში. სულ წლის ბოლომდე, ჩინეთის მასშტაბით, კომპანია 80-მდე „ქართული ღვინის სახლის“ გახსნას გეგმავს. „სუოლუნ კომპანის“ გენერალური დირექტორი ისაო ძიუნუმი მიიჩნევს, რომ „ქართული ღვინის სახლის“ რაოდენობის ზრდა ჩინეთში ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას, სადაც დაინტერესებული მომხმარებელი არა მარტო ღვინოს, არამედ ქართულ კულტურასა და ისტორიასაც გაეცნობა.

ქალაქ იუს ლოჯისტიკურ ცენტრში, ასევე გაიხსნა ქართული ღვინის საწყობი, საიდანაც „ქართული ღვინის სახლის“ ქსელი სისტემატიურად მომარაგდება ღვინოებით. ქართული ღვინის საწყობის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს სპეციალური წარმომადგენელი ჩინეთში მაია ცქიტიშვილი და სხვა დელეგატები.

ღვინის ტური, Marq Energie-ის წარმომადგენლები

10-17 მაისს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია Marq Energie-ის (აშშ) წარმომადგენლები საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვივნენ. ტურის ფარგლებში სტუმრებმა თბილისში, კახეთსა და ქართლში მოინახულეს ღვინის კომპანიები.

Marq Energie-ის წარმომადგენლებმა ქართველ მეღვინეებთან და ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს ქართულ ღვინის ინდუსტრიაში არსებული

მდგომარეობა, ერთობლივად იმსჯელეს იმ მარკეტინგულ სტრატეგიაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე წელს ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციის მიზნით, დააგეგმოვნეს ქართული ღვინოები და კერძები, ესტუმრნენ თბილისში გამართულ „ახალი ღვინის ფესტივალს“.

„RAW London“, დიდი ბრიტანეთი

15-16 მაისს ქართული ქვევრის ღვინო დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში ჩატარებულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე - „RAW London“ (The Artisan Wine Fair London) იყო წარმოდგენილი. გამოფენის ორგანიზატორია მსოფლიოში ცნობილი ღვინის ექსპერტი, საერთაშორისო ღვინის მაგისტრი იზაბელ ლეჟერონი (საფრანგეთი).

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოდან გამოფენაში მონაწილეობდა ქვევრის ღვინის მწარმოებელი 9 მარანი:

გამოფენის გახსნას საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, თამარ ბერუჩაშვილი დაესწრო.

როგორც გამოფენის ორგანიზატორმა იზაბელ ლეჟერონმა აღნიშნა, ქართველი მწარმოებლები გამოფენაში რამდენიმე წელია რაც მონაწილეობენ, რაც უკვე აისახება ქართული ღვინოების პოპულარიზაციაზე დიდ ბრიტანეთში.

საფრანგეთის ენოლოგთა კონგრესი

20 მაისს საფრანგეთში, ლუარას ხეობის ქალაქ ამბუაზში (Amboise), ენოლოგთა 56-ე ეროვნული კონგრესი გაიმართა. საქართველო კონგრესზე მიწვეული იყო, როგორც პირველი საპატიოსტუმარი.

კონგრესის გახსნას საქართველოს ელჩი საფრანგეთში ეკატერინე სირაძე-დელიონე დაესწრო, რომელმაც ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა კონგრესზე გამართა პრეზენტაცია ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიის შესახებ. პრეზენტაციაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა ქართულ მეღვინეობის უძველეს ტრადიციაზე, ქართული ჯიშების მრავალფეროვნებაზე, ღვინის დაყენების ქართულ მეთოდებზე და ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდზე, რომელსაც 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. კონგრესის ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინოების დეგუსტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო 4 ქართული ღვინის კომპანიის სხვადასხვა სტილის ღვინოები: „ცოლიკოური 2013“ (მეღვინეობა ხარება), „საფერავი რეზერვი 2005“ (კახური), „რქაწითელი 2014“ (ორგო) და „ქისი 2011“ (ვინივერია).

„გამორჩეული ქართული ღვინოები“, ლიტვაში

27-28 მაისს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ბალტიისპირეთის ქვეყნების ყველაზე მასშტაბური ღვინის გამოფენა VYNO DIENOS (ღვინის დღეები) ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც სპეციალური ღონისძიება - „გამორჩეული ღვინოები საქართველოდან“ გაიმართა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გამოფენაში მონაწილეობდა ქართული ღვინის მწარმოებელი 6 კომპანია.

პრეზენტაცია-დეგუსტაციას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი გიორგი თევზაძე უძღვებოდა. პრეზენტაციაში „საქართველო - 8 ათასი რთველი“ ძირითადი აქცენტი გაკეთდა ქართულ მეღვინეობის უძველეს ტრადიციაზე, ქართული ჯიშების მრავალფეროვნებაზე, ღვინის დაყენების ქართულ მეთოდებზე და ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდზე, რომელსაც 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

WinExpo Georgia 2016, საქართველო

3-5 ივნისს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ორგანიზებით და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მხარდაჭერით, „ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-9 საერთაშორისო გამოფენა – WinExpo Georgia 2016“ იმართება.

გამოფენა WinExpo Georgia 2016 სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ნოდარ კერესელიძემ გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ლეჟინაძე, ასოციაცია „ქართული ღვინის“ თავმჯდომარე თინა კუხელი, ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები, ღვინის ექსპერტები და დარგის სპეციალისტები.

ღვინის მე-8 საერთაშორისო კონკურსი, საქართველო

4 ივნისს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა WineExpo Georgia 2016-ის ფარგლებში, 3-4 ივნისს ღვინის მე-8 საერთაშორისო კონკურსი - 8th International Wine Award - გაიმართა. კონკურსზე ღვინის ნიმუშები წარდგენილი ჰქონდათ როგორც მსხვილ კომპანიებს, ისე მცირე და საოჯახო მარნებს, ჯამში 40 კომპანიის 153 სხვადასხვა დასახელების ღვინო.

კონკურსში წარმოდგენილი ღვინოები ენოლოგებით, საერთაშორისო ექსპერტებით და სპეციალისტებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ შეაფასა. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: ჟიურის თავმჯდომარე, ღვინის მაგისტრი - ტიმ ატკინი (Mr. Tim Atkin MW - ბრიტანეთი), ღვინის მაგისტრი- კენიჩი ოჰაში (Kenichi Ohashi MW - იაპონია), ღვინის მაგისტრი - რიჩარდ კერშაუ (Richard Kershaw MW – სამხრეთ აფრიკა), ისა ბალი (Isa Bal MS, ოსტატი სომელიე – თურქეთი), ენოლოგი - მიხეილ მესხი (ენოლოგი, საქართველო) და ღვინის ექსპერტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი (საქართველო).

საზეიმო ღონისძიებაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და ჟიურის წევრებმა სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებული ღვინოები დააჯილდოვეს. კონკურსში ფარგლებში ჯილდო 114 დასახელების ღვინომ მიიღო. აქედან: ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა 62 სახეობის ღვინომ, ვერცხლის - 27, ოქროს მედალი - 16 სახეობის ღვინომ, სპეციალური - პრიზი ე.წ „ტროფი“

(TROPHY) – 8 სახეობის ღვინოს გადაეცა. წლის საუკეთესო ღვინოდ კომპანიის „საწნახელი“ წარმოებული ღვინო „ქვევრის საფერავი რჩეული“ დასახელდა.

უძველესი მეღვინეობის კერა, საქართველო

6 ივნისს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი სამანიშვილმა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და ასოციაცია „ქართული ღვინოს“ წარმომადგენლებმა ქვემო ქართლში, სოფელ იმირში ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული არქეოლოგიური აღმოჩენები მოინახულეს.

არქეოლოგიური კვლევის შედეგად ქვემო ქართლში აღმოჩენილია ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული, უძველესი ყურძნის წიპწები. კომპლექსური კვლევის შედეგად დგინდება, რომ ველური ვაზი ადამიანმა პირველად საქართველოს ტერიტორიაზე მოიშინაურა და კულტურული ვაზისგან ღვინო დაწურა. კერამიკული ჭურჭლის ანაფხეკებში აღმოჩენილია კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები, რაც ამ ჭურჭელში ღვინის არსებობას ადასტურებს.

როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნა, პროექტი „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს აღნიშნული არქეოლოგიური გათხრები, ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის.

ქართული ღვინის თვე, აშშ

13 ივნისს ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაცია ნიუ-იორკში გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Tastingwork“-ის (აშშ) ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი ივნისის თვეში ატარებს აქტიურ პიარ-კამპანიას - „ივნისი - ქართული ღვინის თვე აშშ-ში“, რომლის ფარგლებშიც ღონისძიებები ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და სან-ფრანცისკოში გაიმართება.

ნიუ-იორკში გამართულ დეგუსტაცია-სემინარზე 22 ქართული, როგორც დიდი ღვინის მწარმოებელი კომპანიის, ასევე მცირე საოჯახო მარნების სხვადასხვა სტილის ღვინო იყო წარმოდგენილი. დეგუსტაციის პარალელურად გაიმართა სემინარი ქართული ღვინის კულტურის

შესახებ. ღონისძიების სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ როგორც უძველესი ტრადიციული ქართული, ისე თანამედროვე მეთოდებით დამზადებული ღვინოები.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პიარ-კამპანიის ფარგლებში დეგუსტაციები 20 ივნისს ვაშინგტონში და 27 ივნისს სან-ფრანცისკოში გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში „Tastingwork“-ის მიერ ქართული ღვინის 2 დეგუსტაცია ნიუ-იორკში გაიმართა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს აშშ-ში კიდევ ერთი კონტრაქტორი კომპანია „მარქ ენერჯის“ ორგანიზებით დეგუსტაციები გაიმართა ლოს-ანჯელესსა და ჩიკოგაში.

დეგუსტაციები, პოლონეთი

მეორე კვარტალში ქართული ღვინის დეგუსტაციები გაიმართა ვარშავაში, კრაკოვში, ვროცლავში, მიკოლაიკში, ლეზაში, ოსვინცემში. ღონისძიებების ორგანიზატორები იყვნენ ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორები პოლონეთში კომპანია „Malinova“ და „Vinisfera“.

„მე-19 საუკუნის ფრანგულ ფოტოებში ასახული ქართული ღვინის კულტურა“, საქართველო

17 ივნისს ღვინის ეროვნულ სააგენტოში გამოფენა „მე-19 საუკუნის ფრანგულ ფოტოებში ასახული ქართული ღვინის კულტურა“ გაიხსნა, სადაც წარმოდგენილია საფრანგეთის სხვადასხვა მუზეუმებსა და არქივებში დაცული ფოტოები ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის შესახებ. გამოფენის ორგანიზატორია კულტურული მემკვიდრეობის კურატორი ანა ჭეიშვილი.

აღნიშნული ფოტოების ნახვის შესაძლებლობა ქართველ დამთვალიერებელს პირველად მიეცა.

იმ ევროპელ მკვლევართა შორის, რომლებიც საქართველოში მე-19 საუკუნის მანძილზე მოგზაურობდნენ, ყველაზე მეტად სწორედ ფრანგები დაინტერესდნენ ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის შესწავლით. ამას მოწმობს საფრანგეთის არქივებში დაცული მასალები: ფოტოები, ეთნოგრაფიული ჩანაწერები და ექსპედიციების ანგარიშები. აღნიშნული ფოტოების ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენა მნიშვნელოვანია ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადაღებულ ფოტოებზე ასახულია რთველი, ღვინის დაწურვა, ღვინის მნიშვნელობა

სადღესასწაულო სუფრაზე, თიხის სხვადასხვა საღვინე ჭურჭელი, ქვევრები და ა.შ. ფოტოებს ანოტაციების სახით თან ერთვის ფრანგი ავტორების მიერ გაკეთებული ეთნოგრაფიული ჩანაწერები.

ქართული ღვინისა და ჩინურ-ქართული ფოლკლორის დღე, ჩინეთი

23 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში ქართული ღვინისა და ჩინურ-ქართული ფოლკლორის დღე „საქართველო - ღვინის სამშობლო, მეღვინეობის 8000-წლიანი უწყვეტი ტრადიცია“ აღინიშნა.

ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. მასზე მოწვეულ სტუმრებს კაფე Art Café Ku-მ უმასპინძლა. ჩინელ და ქართველ დელეგატებთან ერთად ღონისძიებას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგაგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ბატონი დავით აფციაური და ქართული ღვინის წარმომადგენელი ჩინეთში მაია ცქიტიშვილი.

სტუმრებს შორის იყვნენ პეკინის წამყვანი უნივერსიტეტების (Peking University, Renmin University და სხვა), ღვინის ინდუსტრიის, ხელოვნების სფეროს, ღვინის სპეციალიზირებული და სხვა მედია საშუალებების წარმომადგენლები.

სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის კომპანიების 30 სახეობის 100-მდე ბოთლი ღვინო.

ექსპორტი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან მსოფლიოს 40 ქვეყანაში ექსპორტირებულია 19,8 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 44%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია

46,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 18%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

საანგარიშო პერიოდისთვის ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ჩინეთი - 148% (1 884 665), უკრაინა - 82% (2 286 977), რუსეთი - 56% (10 198 085), ბელარუსი - 96% (462 547), ლიტვა - 31% (260 064), პოლონეთი - 34% (1 070 454), ესტონეთი - 64% (331 884), ყირგიზეთი - 89% (149 666), გერმანია - 55% (166 636), კანადა - 16% (96 300), დიდი ბრიტანეთი - 43% (58 366) და სხვა.

6 თვის მონაცემებით, ჩინეთმა მე-4 ადგილდან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა ისეთი ტრადიციული ბაზრების შემდეგ როგორცაა რუსეთი და უკრაინა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი - 10 198 085 ბოთლი; უკრაინა - 2 286 977 ბოთლი; ჩინეთი - 1 884 665 ბოთლი; ყაზახეთი - 1 764 286 ბოთლი; პოლონეთი - 1 070 454 ბოთლი.

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ – 2 626 364 ბოთლი, „მუკუზანი“ – 1 006 732 ბოთლი, „წინანდალი“ – 830 149 ბოთლი, „ახაშენი“ – 426 899 ბოთლი, „ხვანჭკარა“ – 132 033 ბოთლი და ა.შ.

ამასთან, მსოფლიოს 13 ქვეყანაში ექსპორტირებულია 3 710 997 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 47%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 8,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების - ზრდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20%-ს აღწევს.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 78,8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. გასული წლის 6 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 58,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი

ღვინის ეროვნული სააგენტო აგრძელებს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტს“, რომლის ფარგლებში მიმდინარე წლის მეორე კვარტალში შესრულებულდა შემდეგი სამუშაოები:

- მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალის მოპოვებისა და შემდგომი შესწავლის მიზნით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ტორონტოს (კანადის) უნივერსიტეტის 37 კაციანი ჯგუფის მიერ განხორციელდა ერთობლივი არქეოლოგიური გათხრები 6 მაისიდან - 12 ივნისის პერიოდში, მარნეულის რაიონში მდებარე ე.წ. „შულავერის კულტურის“ (ძვ. წ. 6000 წელი) ნეოლითურ ნასახლარებზე სახელწოდებით „გადაჭრილი გორა“ და „შულავერის გორა“ მევენახეობა. კერძოდ, ა) გათხრები ჩატარდა 10 სექტორში (თხრილში) საერთო ფართობით 270 მ². აღმოჩენილი იქნა კერამიკის ნაშთები, ქვისა და ძვლის იარაღები, ობსიდიანები; ბ) ახალი ჭრილებიდან და გამოვლენილი კონტექსტებიდან აღებულია საანალიზო ნიმუშები პალინოლოგიური, პალეობოტანიკური (ფლოტაციის მეთოდის გამოყენებით), რადიოკარბონატული, ქიმიური, მოლეკულური, ბიო-მოლეკულური და სხვა ტიპის ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის, რომლებიც შესრულდება პროექტის შემდეგ ეტაპზე საქართველოსა და უცხოეთის (აშშ, დანია, ისრაელის) ლაბორატორიებში; გ) განხორციელდა ველზე მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტების კამერალური დამუშავება და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში შეტანის მიზნით; დ) მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტები განთავსდა ეროვნულ მუზეუმში; ე) განხორციელდა ღონისძიებები ძველის კონსერვაციის მიზნით.
 - საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა 6 ივნისს მოაწყო საინფორმაციო დღე „გადაჭრილი გორის“ გათხრების შედეგების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით.

- o 8 ივნისს მარნეული გამგეობაში გაიმართა მსჯელობა შულავერის კულტურის ძეგლების კონსერვაციისა და სამუზეუმო სივრცის მოწყობის მიზნით: შეხვედრაში მონაწილეობდნენ ღვინის ეროვნული სააგენტოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, მარნეულის რაიონის გამგეობისა და ტორონტოს უნივერსიტეტის არქეოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი პირები. მიღებული იყო გადაწყვეტილება „გადაჭრილი გორის“ დაცვის ღონისძიებების გატარებისა და მთლიანი სამუზეუმი კონცეფციის დამუშავების შესახებ.
- განხორციელდა საქართველოს ველური ვაზის ექსპედიციური გამოკვლევა მინდვრის კოლექციის გაშენებისა და მისი შემდგომი ჩართვისათვის მოლეკულური და ამპელოგრაფიის მეთოდებით შესწავლის მიზნით. ამ მიზნიდან გამომდინარე, ველური ვაზის 58 ნიმუში შეგროვდა ქართლისა და კახეთის რაიონებში და დაფესვიანებული მცენარის მიღების მიზნით დაირგო ვაზის სანერგეში.
- მარნეულის რაიონის არქეოლოგიურ ძეგლზე „გადაჭრილი გორა“ ორგანიზებულ გათხრებში წელს პირველად მიიღო მონაწილეობა კანადელ არქეოლოგთა 18 კაციანმა ჯგუფმა ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორის სტივენ ბატიუკის ხელმძღვანელობით ე.წ. „სტუდენტური სკოლის“ ფორმატში: ეს ექსპედიცია არის ს. ბატიუკთან გასული წლის თანამშრომლობის შედეგი, რომელიც იგეგმება, რომ ხანგრძლივ თანამშრომლობაში უნდა გადაიზარდოს.
- სააგენტომ 29 მაისი - 3 ივნისის ფარგლებში უმასპინძლა 21 კაციან ჯგუფს ჩვენი პროექტის პარტნიორის, კოპენჰაგენის უნივერსიტეტის GeoGenetics ლაბორატორიის უფროსის ტომ გილბერტის (Tom Gilbert) ხელმძღვანელობით და ამ პროექტის პარტნიორების ნათან ვეილსის (Nathan Wales) პატრის ტისის (Patrice This, საფრანგეთის აგრონომიული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის, მონპელიე) შემადგენლობით მათი ინსტიტუტების სხვა კოლეგებთან და მსოფლიოს 11 ქვეყნის დოქტორანტების მონაწილეობით. ამ ჯგუფის

საქართველოში ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს, როგორც მევენახეობა - მეღვინეობის უძველესი კულტურის გაცნობა და შემდგომი პოპულარიზაცია.

- პროექტის შესახებ დაინტერესება გამოხატა New Yourk Times -მა და მისი ჟურნალისტი რიჩარდ მარტინ-ჰემპილი (Richard Martyn-Hemphill) ეწვია საქართველოს სტატიის მოსამზადებლად. იგივე მიზნით სტატიისათვის მასალები შეაგროვა Georgian Today ჟურნალისტმა Maria Jose Riquelme del Valle.
- პროექტის იტალიელი მონაწილეები, მილანის უნივერსიტეტის მკვლევარები ო. ფაილა და გ. კოლა ადგილზე გაეცნენ შიდა ქართლისა და დასავლეთ საქართველოს (რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა) მევენახეობის რაიონების თავისებურებებს პროექტის მომავალი სამუშაოს შესრულების ამოცანებიდან გამომდინარე.
- განხორციელდა სარედაქციო სამუშაოები საერთაშორისო რეფერირებულ ჟურნალში ITWRNATIONAL JOURNAL OF BIOMETEOROLOGY წარდგენილი სტატიის 'Grapevine phenology and climate change in Georgia' სრულყოფის მიზნით.
- მომზადებული და OIV-ის 39-ე კონგრესის სამეცნიერო კომიტეტისათვის გადაგზავნილი იქნა მოხსენების 'Grape and Wine Culture in Georgia, the South Caucasus' რეზიუმე კონგრესის პროგრამაში ჩართვის მიზნით, რომელიც გაიმართება ბრაზილიაში, 2016 წლის 23-28 ოქტომბერს.

ვენახების კადასტრის პროგრამა

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ვენახების უწყებრივი კადასტრის პროგრამის განხორციელება 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონიდან დაიწყო.

კადასტრის სისტემა ეფექტურად მუშაობს ევროკავშირის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობაა განვითარებული. საქართველოში ანალოგიური სისტემა აქამდე არ არსებობდა. საკადასტრო ბაზის არსებობა აუცილებელია ვენახების აღრიცხვიანობის მოწესრიგებისათვის, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გადაწყვეტილებების მისაღებად, რთველის პროცესის სწორად დაგეგმისთვის, ღვინის წარმოებისა და მისი მოძრაობის კონტროლირებისათვის, ზოგადად - მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს რეგულირებისათვის.

ვენახების კადასტრი მოიცავს ვენახების ფართობების რეესტრებს, ინფორმაციას ვენახებში გაშენებული ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობისა და მდგომარეობის შესახებ.

კადასტრის სისტემის საფუძველია ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემაზე (GIS) დაფუძნებულ სატელიტურ რუკებს.

კადასტრის აგების საფუძველია გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაზე (GIS) დაფუძნებული სატელიტური რუკები, სადაც ხდება ყველა ინფორმაციის დაკავშირება ვენახების ატრიბუტების და მათი მესაკუთრეების, ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისა და სანერგეების ჩათვლით. მონაცემთა ოპერირებისათვის გამოყენებულია იტალიური კომპანია ABACO-ს მონაცემთა ბაზა.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- სააგენტოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი თავმჯდომარის მოადგილის პაატა ჭავჭავანიძის ხელმძღვანელობით ვენახების კადასტრის სისტემის პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებული მდგომარეობის სიტუაციური ანალიზისა და პროგრამის დანერგვის ხელშეწყობისა და პროგრამის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის მიმდინარე და შემდგომ წლებში წამოჭრილი აქტუალური საკითხების ოპერატიული გადაჭრის მიზნით.

- კადასტრის პორტუგალიელი ექსპერტის ანა იზაბელ ლუჟის მეორე ვიზიტის პერიოდში დაზუსტდა კადასტრის სამუშაოების განხორციელების სამოქმედო გეგმა და შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტი ორთოფოტოების ხარისხის კონტროლისათვის.
- იტალიურ კომპანია ABACO-ს (იტალია) გაყიდვების დირექტორის რობერტო ორსის (Roberto Orsi) სააგენტოში ვიზიტის დროს განხილული იყო აბაკოსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს შემდგომი თანამშრომლობის გზები და ის ტექნიკური საკითხები, რომლებიც საჭიროა ამ მონაცემთა ბაზის სრულყოფილი ოპერირებისათვის.
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის და ABACO-ს თანამშრომლობმა დაიწყო და აგრძელებენ ერთობლივ მუშაობას „რთველის პროგრამის“ და „კადასტრის პროგრამის“ სისტემური ურთიერთდაკავშირებისათვის მათი ერთობლივი ფუნქციონირების მიზნით.
- ABACO-ს ექსპერტები დაიწყო და ანხორციელებენ ყვარლის მონაცემების (რუკები, ორთოფოტოები, ვენახებისა და მევენახეთა საანკეტო ინფორმაცია) ატვირთვას ამ მონაცემთა ბაზაში.
- რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ჯგუფის რაჭის მევენახეთა ასოციაციასთან ერთად ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს ამ რეგიონის საკადასტრო ინფორმაციის სრულყოფის შესახებ. ამ მიზნით სააგენტომ მათ გადასცა რაჭის სოფლების ამობეჭდილი რუკები და მონაცემთა შევსების სამუშაო ფაილები.

- გერმანული GIZ პროექტის მიერ ორგანიზებულ სემინარზე 5 აპრილს წარდგენილი იქნა პრეზენტაცია „ვენახების კადასტრის თანამედროვე სისტემის დანერგვა საქართველოში“ - სემინარს ესწრებოდნენ კახეთის ს/მ სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრის და სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარული დეპარტამენტის წარმომადგენლები, კოლეჯის მასწავლებლები და მევენახე ფერმერები.

დეგუსტაციები

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ საანგარიშო პერიოდში ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლექტიკური ტესტირების მიზნით, 24 დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 633 ნიმუში, მათგან 28 ნიმუშმა არ დააკმაყოფილა შესაბამისი მოთხოვნები და ვერ გაიარა დეგუსტაცია.

სერტიფიცირება

სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოში, სხვადასხვა დასახელების ღვინოებზე შემოვიდა სულ 1050 განაცხადი. სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე სულ გაცემულია - 1887 ცალი საექსპორტო სერტიფიკატი.

მათ შორის:

შესაბამისობის სერტიფიკატი - 900 ცალი (ყოფილი დსთ-ს და მე-3 ქვეყნებზე)

VI-1 ფორმის სერტიფიკატი - 987 ცალი (ევროგაერთიანების ქვეყნებზე)

ინსპექტირება

2016 წლის მეორე კვარტალში განახორციელდა როგორც ადგილწარმოშობის, ასევე სუფრის საექსპორტო ღვინოების (ლოტთან მიმართებაში) სახელმწიფო კონტროლი სულ 22 ალკოჰოლური სასმელების კომპანიაში:

შპს, „საქართველო“

შპს, „ქართული ღვინის სახლი“

შპს, „GRW“

შპს, „BOLERO & COMPANY“

შპს, „Georgion special export“

შპს, „ჰერეთი“

შპს, „გიუანი“

შპს, „წინანდლის ძველი მარანი“

ს/ს „ბადაგონი“

შპს, „GWPC“

შპს, „წინანდლის ძველი მარანი“

ს/ს, „თელიანი ველი“

შპს „კახური ღვინის მარანი“

შპს, „ბესინი“

შპს, „იმედი 96“

შპს, „ტემპი +“

შპს, „მელვინეობა გრანელი“

შპს, „ქინძმარაულის მარანი“

შპს, „მარნისკარი“

შპს, „WP&S“

ს/ს, „ენისელი ბაგრატიონი“

შპს, „აკურა“

საექსპორტო პარტიებიდან აღებული და შემოწმებული იქნა 266 ნიმუში, არც ერთი მათგანი დაწუნებული არ ყოფილა. ინსპექტირების შედეგად, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შპს „მელვინეობა გრანელის“ სერთიფიცირებაზე წარმოდგენილი განაცხადი ჩაითვალა გაუქმებულად.

